№46(47) 22.11.199

სარგიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ნომერში:

ზეიმი „წითელი ეშმაკების“ ჭუჩაზე

„მანჩესტერ იუნაიტედი“ სუპერთასის მფლობელია

მე-2 გვერდი

ერთი საღამო ლომების მომთვინიერებელთან

სტუმრად ვალერი ნეპომნიაშჩისთან

მე-3 გვერდი

ბოლო დამარცხების მიუხედავად

ბოლო საერთაშორისო ტურნირში განცდილი მარცხის მიუხედავად (ნავრატილოვასთან ოკლენდში) 17 წლის იუგოსლავიელი ჩოგბურთელი მონიკა სელეში საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. იგი საჩუქრად მიიღებს ნახევარ მილიონ დოლარს და „იაგუარის“ მარკის ავტომანქანას. ამ ფულადი პრემიის გათვალისწინებით სელეშის შემოსავალმა მიმდინარე წლის სეზონში 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

დიდძალი ფულია საჭირო

პრინცესა ანა სათავეში ჩაუდგა ინგლისის ოლიმპიური ნაკრები გუნდების სამზადისისთვის საჭირო თანხების შეგროვების კამპანიას. მისი განცხადებით ბრიტანეთის სპორტსმენთა ასოციაციამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ოლიმპიელებს წვრთნისათვის და დასვენებისათვის ნორმალური პირობები ჰქონდეთ. იგივე აზრისაა ასოციაციის გენერალური მდივანი დიკ პალმერი, რომელმაც აღნიშნა: „წინა ოლიმპიადასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს სპორტული სტანდარტები, ამიტომ დიდძალი ფულია საჭირო, რათა ღირსეულად გამოვიყურებოდეთ საერთაშორისო ფონზე.“

ერთი ქულით

წყალსამოტორო სპორტში „ფორმულა-1“-ის ჩემპიონი გახდა 34 წლის ხნგლისელი ჯონათან ჯონსი, რომელმაც მოიგო ბოლო რბოლა სინგაპურში და ერთი ქულით გაუსწრო 46 წლის გერმანელ მიჰაელ ვერნერს — მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს.

გია ახალაძის ფოტო

საქართველოს დროშაც ფრიალებდა

საქართველოს დამოუკიდებელმა ნაკრებმა, ანკარაში, კარატე-დო შოტოკანში პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ეს რასაკვირველია დიდი წარმატებაა. ქართული დროშა ინგლისის, იაპონიის, დანიის და თურქეთის დროშების გვერდზე ფრიალებდა, ხოლო ჩვენი ოსტატების გამოსვლამ იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა და მაყურებელთა ყურადღება. დარბაზი ერთხმად სკანდირებდა: „გეორგია, გეორგია!“...

ჩემპიონატის წინ ჩვენი გაზეთი წერდა ქართველ კარატისტთა მზადების შესახებ. შეგახსენებთ, რომ შოტოკანის ოჯახში — მსოფლიო ფედერაციაში საქართველო შარშან შევიდა. იყო პირველი მერცხლებიც — ორი მესამე ადგილი პრესტიჟულ შეჯიბრებაში „ბოსფორის თასზე“, პირად ჩათვლაში. და აი, ჩემპიონატმა ჩვენი კარატისტების შესაძლებლობები თვალნათლივ გამოავლინა.

ანკარაში შეიკრიბნენ: ინგლისის, დანიის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის, ჰოლანდიის და საქართველოს ნაკრებები (პირველი ქვეჯგუფი) და იაპონიის, შოტლანდიის, ირანის, რუმინეთის (ორი შემადგენლობა) და თავად თურქეთის (მეორე ქვეჯგუფი) გუნდები. ქართველი სპორტსმენები ქვეჯგუფში მხოლოდ ბრიტანელებთან დამარცხდნენ, სპარინგებში, მინიმალური ანგარიშით 2:3. მესამე ადგილისთვის კი დაამარცხეს რუმინეთის პირველი გუნდი 4:1. ჩემპიონატზე პირველი ადგილი იაპონელებმა აიღეს, მეორე — ინგლისელებმა.

ყველა გუნდს ჰყავდა ხუთი ძირითადი და ორი სათადარიგო სპორტსმენი. ქართველი კარატისტებისგან მედლები მიიღეს: გია ბაკურაძემ, სულხან სიდამონიძემ, გიორგი კოტორაშვილმა, თემურ ცქიტიშვილმა, ავთანდილ რაზმაძემ, ზურაბ ცქიტიშვილმა და ხვიჩა ხაიკაშვილმა.

საქართველოს კარატე-დოს ასოციაციის პრეზიდენტის, ზურაბ ლეტავას თქმით, აპრილში საქართველოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც საბერძნეთში გაიმართება. ზაფხულში, სტამბოლში „ბოსფორის თასის“ გათამაშება ჩატარდება, ორი წლის შემდეგ კი იაპონიაში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი აიღებს სტარტს. ვუსურვოთ ქართველ კარატისტებს წარმატებები!

მიხეილ ვიბნანსკი

ეს ფოტო ამ ორი დღის წინ, მოროგი ვარჯიშის წინაა გადაღებული. (მახზე მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილე არ არის აღბეჭდილი). დგანან (მარცხნიდან): თამაზ ნათელაშვილი, გია ბაკურაძე, თემურ ცქიტიშვილი, გუნდის უფროსი გია ხვანძე, კახა ბასილაია, სულხან სიდამონიძე; სხედან: ლია ოლიაშვილი, ავთანდილ რაზმაძე, დავით გოგიძე, ზურაბ ქვიტაშვილი.

ურნმუნოთა ჯინაზე

ვაკის სტადიონი, 17 ნოემბერი.

საერთაშორისო შეხვედრა.

ქართველი სტუდენტები — უკრაინა 16:11 (7:3)

სტუდენტები: იურინი; დვალი (ჭავთარიშვილი), ალანია, ძნელაძე, ბარძიმიშვილი (სორდია); მოდებაძე (ანთაძე), ჯანელიძე; ჩიქავა, კალაძე, ღვინიაშვილი (აბულიდანი); ზოიძე, დიდებულიძე, ნადირაძე, მეჭურჭლიშვილი, მგელაძე.

უკრაინა: იგნატენკო; ბონომარენკო, სტაპიჩუკ, ზახარენკო, სტორჩაკ; კანა, ლოსი (დონეცკ); ციბკო, ბორისენკო, გავრილჩენკო; ლეგნიოვი, კიკინი, კარზუმინი, კარასიოვი; პასტუშენკო (უსტიუგინინი).

ანგარიში: 7:0 (კალაძე — ლ; მოდებაძე — ს); 7:7 (ლოსი — ს; სტაპიჩუკი — ლ); 10:7 (მოდებაძე — ს); 10:11 (ბონომარენკო — ლ); 16:11 (მგელაძე — ლ; ძნელაძე — გ).

მსაჯი: მიხეილ გაროჩავა.

ერთი წელია, საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო შეხვედრა არ უთამაშია და აი, ფირა-ს არბიტრის, ზურაბ რეხვიაშვილის მეცადინეობით, უკრაინის ეროვნული გუნდი გვეწვია, რომელიც პირველად სწორედ ამ ტურნესათვის შეიკრიბა და ორ დაგეგმილ ტესტ-მატჩამდე ჩვენს სტუდენტურ ნაკრებთან მოსინჯა ძალა.

ოთხი უკრაინული კლუბი წელს ისევ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობდა. მათგან საუკეთესოს — კიევის „ფენიქსს“ (ავიატორყოფილს) მეხუთე ადგილი დაუკავებია. ნაკრების წევრთა უმრავლესობაც „ფენიქსელები“ არიან. თბილისის „შევარდენის“ ბაზაზე შედგენილი ჩვენი გუნდის მორაგბეები კი ეროვნულ ჩემპიონატში ჩამოყალიბდნენ მოთამაშეებად. მათგან ორიოდეს თუ მოუწია საკავშირო პირველობაზე თამაშმა და ისიც — მცირე ხნით. ასე რომ, ტურნეს პირველ შეხვედრას განსაკუთრებული ელფერი დაკრავდა: საქართველოსა და საბჭოეთის ჩემპიონატების დღევანდელ დონეებს შორის პარალელის გავლების საშუალებას იძლეოდა.

ქართველი სტუდენტების გამარჯვებამ ალბათ ბევრი, მათ შორის ზოგიერთი სკეპტიკოსიც დაარწმუნა — საკავშირო სარბიელიდან ერთწლიან „იზოლაციას“ ჩვენი რაგბის კლასი არ დაუცია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მომავალი კი ჩვენსავე ილაჯსა და მარიფათზე ჰკიდია — მადლობა ღმერთს, ფეხბურთისგან განსხვავებით, უცხოელებთან თამაში ჩვენთვის არავის აუკრძალავს.

საკუთრივ მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა, რასაც უადრესად ობიექტურმა მსაჯობამაც შეუწყო ხელი. უკრაინელები მხოლოდ ერთხელ, თამაშის მიწურულს დაწინაურდნენ, ისიც ორიოდ წუთით: ნუგზარ მგელაძემ უკრაინელთა ბარე ნახევარი გუნდი „დაიფრინა“ და ლელოსკენ გაიკაფა გზა. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ, დემირ ძნელაძემ კი ზუსტად დარტყმული გარდასახვით ხაზი გაუსვა ქართველების გამარჯვებას — 16:11.

საქართველოს და უკრაინის ნაკრებთა პირველი ტესტ-მატჩი გუშინწინ უნდა გამართულიყო ჩოხატაურში, მაგრამ გურიაში მიმავალ მორაგბეებს თბილისიდან მალემსრბოლი წამოეწიათ: ჩოხატაურელებს მასპინძლობაზე უარი შემოუთვლიათ. შეხვედრა გუშინ, თბილისში შედგა. უკრაინა კვლავ დამარცხდა — 15:19 და ახლა ხვეინდელი, ბოლო თამაშის იმედზეა, რომელიც რუსთავის ცენტრალურ სტადიონზე, დღის 2 საათზე დაიწყება.

სამწუხაროდ, უსიამო ამბით უნდა დავამთავროთ: ქუთაისის „აიამ“ საქართველოს ნაკრებს ბოიკოტი გამოუცხადა. მიზეზებს მომავალ ნომერში მოგახსენებთ, აქ კი დავძენთ, რომ ჩვენდა ბედად, ნუგზარ ძაგნიძეს დროზე გაუსწრია ჩოხატაურის „ჯანში“, თორემ ეროვნული ნაკრების ნაცვლად ხელი აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო ზუსტად კი თბილისის ნაკრებიღა შეეკრიბებოდა.

ვამუქა ჩიხლაძე



გია ახალაძის ფოტო

ფოტოზე აღბეჭდილია ლიტველ მსაჯთა ბრიგადა: ალგირდას დუბინსკასი (მთავარი მსაჯი), ანატოლიუს ზიბარობასი (მარცხნივ) და ალგეს მაცკიავიჩუსი, რომელთაც იმსაჯეს საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტურის შეხვედრა „მრეტებსა" და „გორდას" შორის. იმავე დღეს, მათმა თანამემამულეებმა სერგეი სლივამ, როპერტ ბარტაშუნასმა და ვიტალიუს კაზლაუსკასმა იმსაჯეს გორში „დილა" — „ცხუმი". ლიტველი მსაჯები ქართველმა გულშემატკივარმა ორივე სტადიონიდან ტაშით გააცილა.

ეროვნული ჩემპიონატი

XVII ტური	X (გამოტოვებული) ტური)
ალაზანი — მარგვეთი 1:1	კოლხეთი — მრეტები 1:0
სამგურალი — ოდიში 2:0	შევარდენი-06 — მზიური 1:2
დილა — ცხუმი 1:1	სულორი — მერცხალი 3:1
მერცხალი — გათუმი 1:2	გათუმი — ცხუმი 1:0
მზიური — კოლხეთი-13 1:1	იბერია — ალაზანი 4:1
კოლხეთი — ჭუთაისი 2:1	სამტრედია — დილა 1:1
შევარდენი-06 — გურია 1:2	ამირანი — სამგურალი 1:1
სულორი — იბერია 0:5	გურია — გორდა 4:1
სამტრედია — ამირანი 0:0	ჭუთაისი — მარგვეთი 0:0
მრეტები — გორდა 1:2	კოლხეთი-13 — ოდიში 1:0

გათამაშების ცხრილი

	თ.	გ.	ფ.	წ.	ნ.	ქ.
1. იბერია	16	14	0	2	55:18	42
2. გურია	17	12	2	3	43:20	38
3. ცხუმი	17	12	1	4	41:21	37
4. გორდა	17	11	3	3	35:19	36
5. ოდიში	17	10	2	5	27:21	32
6. სამტრედია	17	8	3	6	28:26	27
7. მზიური	17	8	2	7	19:23	26
8. ბათუმი	17	8	1	8	27:26	25
9. შევარდენი-1906	17	7	1	9	25:27	22
10. კოლხეთი-1913	17	6	4	7	19:23	22
11. ჭუთაისი	17	6	3	8	30:26	21
12. დილა	17	6	3	8	24:24	21
13. სულორი	17	6	2	9	26:37	20
14. სამგურალი	16	6	1	9	16:25	19
15. მარგვეთი	17	4	7	6	21:28	19
16. მრეტები	17	5	3	9	21:24	18
17. კოლხეთი	17	4	4	9	20:32	16
18. ამირანი	17	4	3	10	20:35	15
19. ალაზანი	17	4	3	10	15:37	15
20. მერცხალი	17	3	2	12	19:46	11

როგორც გახსოვთ, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ შემდეგი განხილვისათვის გადადო ზესტაფონელთა პროტესტი, მე-14 ტურის შეხვედრის, „ოდიში" — „მარგვეთი" ანგარიშის გამო. ზესტაფონელები მოითხოვდნენ მათ მიერ თამაშის უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლის ჩათვლას, რომელიც მათი აზრით (მათ ეთანხმებოდა მატჩის ინსპექტორიც) წესების დაცვით იყო გატანილი. საბოლოოდ, პროტესტი არ მიიღეს. ძალაში დარჩა ზუგდიდელთა გამარჯვება ანგარიშით 2:1.

ოთხი ნაკრების ტურნირი

ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ნლევანდელ, რიგით მეორე ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ჩატარდება ნახევარფინალები და ფინალი. ნახევარფინალები 2 დეკემბერს გაიმართება ნაფარეულსა და ჭაბუკიანში. ეროვნული ნაკრები შეხვდება ახალგაზრდულს, ოლიმპიური კი ჭაბუკთა გუნდს. შეკითხვაზე, თუ რა დანიშნულება აქვს ამ შეჯიბრებას და მასში მხოლოდ საქართველოს ნაკრებების მონაწილეობა ხომ არ სწევს მის მნიშვნელობას დაბლა, გვიპასუხა ოთხივე გუნდის მწვრთნელმა.

ბიბა ნორაკიძე (ეროვნული ნაკრების მწვრთნელი): ტურნირი, ფაქტობრივად, ყველა საუკეთესო ფეხბურთელის შემოწმება-შეფასებას ისახავს მიზნად. მათი სხვადასხვა ნაკრებებში თამაშიც გარკვეულწილად პირობითია, რადგან თუ მოთამაშე, ვთქვათ, ჭაბუკთა ნაკრებში გამოდის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას პირველ ნაკრებში არ მივიწვევთ. ვფიქრობ, ნახევარფინალში ახალგაზრდები სერიოზულ წინააღმდეგობას გაგიწევენ. ასე რომ, შეჯიბრება სპორტული თვალსაზრისით საინტერესო იქნება.

თენგიზ სულაძველიძე (ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი): ჩვენ ფიფა-სა და უეფა-ში შესვლისთვის ვიბრძვით, ამდენად, თუ შარშან ტურნირში ახალგაზრდულის გარდა უმაღლესი, პირველი და მეორე ჯგუფის ნაკრებები თამაშობდნენ, წელს საერთაშორისო დაყოფის შესაბამისად, ეროვნული, ოლიმპიური, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. ჩემის აზრით შეჯიბრების მნიშვნელობა არ დაიწევს, იგი დაძაბულად ჩაივლის და ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი კარგად წარმოაჩენს თავს.

ნიკა ამირეჯიბი (ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი): ახალგაზრდულ და ოლიმპიურ ნაკრებებში დაახლოებით ერთი ასაკის ფეხბურთელები თამაშობენ. ეს. მომავალში ნებისმიერმა „ოლიმპიელმა" შეიძლება ჩვენთან თამაშოს და პირიქით. გარდა ამისა, უკლებლივ ყველას აქვს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსი. მოხდება ჩვენი ძალების დათვალიერება. ეს იმის წინაპირობაა, რომ ფეხბურთელები თავის გამოჩენას ეცდებიან, რაც ტურნირს საინტერესოს გახდის. ფინალში გამარჯვებულები პრემიებსაც მიიღებენ, ასე, რომ დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი.

ბაიოზ დარსაძე (ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი): შეჯიბრება ყველაზე ძლიერ ფეხბურთელებს ერთად მოუყრის თავს. ეს ოთხივე ნაკრებისთვის ხელსაყრელია. რომელიმე სხვა რესპუბლიკის გუნდი რომ იყოს მოწვეული, ერთ-ერთი ჩვენთაგანი ავტომატურად ამოვარდებოდა, რაც ტურნირს დათვალიერება-შემოწმების ფუნქციას დაუკარგავდა. ვფიქრობ ყველა გუნდს აქვს სტიმული, რათა მთელი ძალით იბრძოლოს გამარჯვებისათვის.

ჩაიწერა ილია ბაბუნაშვილმა.

ზეიმი მანჩესტერის ქუჩებში

საბელგანთქმულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შესანიშნავად ისარგებლა იმით, რომ იუგოსლავიაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო სუპერთასი თავდაპირველად დაგეგმილი ორი მატჩის ნაცვლად, ერთ შეხვედრაში გათამაშდა: საკუთარ „ოლდ ტრაფორდის" სტადიონზე მანჩესტერელებმა დაამარცხეს ჩემპიონთა თასის მფლობელი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" — 1:0 და საპატიო თასი მიიღეს.

მასპინძლებს აკლდათ გუნდის კაპიტანი და აღიარებული ლიდერი ბრაიან რობსონი. მაისურა 7 ნომრით, რომლითაც ჩვეულებრივ რობსონი თამაშობს, ამჯერად ლიტველ კანჩელსკისს ერგო, კაპიტნის სამკლაური კი — ბრიუსს. ძნელი სათქმელია იქონია თუ არა ამან გავლენა ბრიუსის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, მაგრამ ფაქტია — მეორე წუთზე მან ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა, ბურთი იუგოსლავიელთა მეკარემ მოიგერია.

„ცრვენა ზვეზდამ" გაუძლო რა მასპინძელთა სასტარტო შტურმს, თავად გადავიდა შეტევაზე და საგრძნობ უპირატესობასაც მიაღწია. მასპინძელთა კარი რამდენჯერმე გადაურჩა აშკარა გოლს. ჯერ პალასტერმა, შემდეგ კი ბლეკმორმა ცარიელ კარიდან გამოიტანეს ბურთი. მარტო ბელგრადელთა ცენტრფორვარდ პანჩევს გოლის გატანის სამი-ოთხი შესაძლებლობა ჰქონდა. ჩინებულად ითამაშობდა „ცრვენა ზვეზდას" კაპიტანი ლავიჩევიჩი, რომელიც უდავოდ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე იყო.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა. 67-ე წუთზე ინგლისელთა ერთ-ერთი შეტევა ბრაიან მაკლეარის გოლით დაგვირგვინდა. მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა არც ერთ გუნდს არ დაუკლია, ანგარიში აღარ შეცვლილა — 1:0 „მანჩესტერ იუნაიტედის" სასარგებლოდ.

ზურაბ ინასარიძე

ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

საფრანგეთი — ისლანდია 3:1

პარიზში საფრანგეთის ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ერიკ კანტონამ (2) და ამარა სემბამ.

ჯგუფის ბოლო მატჩი 18 დეკემბერს გაიმართება. ალბანეთის ნაკრები ესპანეთის გუნდს უმასპინძლებს.

საფრანგეთი	8	8	0	0	20-6	16
ჩეხეთსლოვაკეთი	8	5	0	3	12-9	10
ესპანეთი	7	3	0	4	17-12	6
ისლანდია	8	2	0	6	7-10	4
ალბანეთი	7	1	0	6	2-21	2

II ჯგუფი

ბულგარეთი — რუმინეთი 1:1

ჯგუფის დასკვნითი მატჩის წინ რუმინეთის ნაკრები, რომელსაც შვეიცის საგზურის მოსაპოვებლად უნდა მოეგო სოფიაში და ამასთან ორი გოლის სხვაობით მაინც, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტრავმის გამო გუნდს ერთბაშად 5 ფეხბურთელი გამოაკლდა: ბალინტი, კლაინი, პეტრესკუ, როტარიუ და ტიმოფტე. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, რუმინელებმა მატჩი შეტევით დაიწყეს. პირველ ტაიმში მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე რადუჩოიუ წააქციეს, მაგრამ პაჯის მიერ დარტყმული პენალტი მეკარე მიხაილოვმა მოიგერია. სტუმრები აგრძელებდნენ შეტევებს და 30-ე წუთზე აღრიან პოპესკუ ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში ბულგარელები გამოცოცხლდნენ და უპირატესობას დაეუფლნენ. 55-ე წუთზე ნასკო ხირაკოვმა საპასუხო გოლი გაიტანა და შოტლანდიის ნაკრებს შვეიცის საგზური მოუტანა. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიელები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ტურნირში.

შოტლანდია	8	4	3	1	14-7	11
შვეიცარია	8	4	2	2	19-7	10
რუმინეთი	8	4	2	2	13-7	10
ბულგარეთი	8	3	3	2	15-8	9
სან-მარინო	8	0	0	8	1-33	0

IV ჯგუფი

პორტუგალია — საბერძნეთი 1:0

პორტუგალიის ნაკრების გამარჯვების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებმა. პრაქტიკულად გაინაღდა პირველი ადგილი. თეორიული შესაძლებლობა პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებებსაც დარჩათ, ბერძნებმა ორ უკანასკნელ მატჩში 4 ქულა უნდა აიღონ, თანაც ორივე შეხვედრა რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოიგონ.

ლისაბონში ერთადერთი გოლი მატჩის 17-ე წუთზე თავური დარტყმით გაიტანა ჟოაუ პინტუმ.

4 დეკემბერს საბერძნეთის ნაკრები ჰოლანდიელებს უმასპინძლებს.

ჰოლანდია	7	5	1	1	15-2	11
პორტუგალია	8	5	1	2	11-4	11
საბერძნეთი	6	3	1	2	10-6	7
ფინეთი	8	1	4	3	5-8	6
მალტა	7	0	1	6	1-22	1

V ჯგუფი

ბელგია — გერმანია 0:1

ამ გამარჯვებით გერმანიის ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში მონაწილეობის უფლება. ბოლო შეხვედრაში, რომელსაც გერმანელები 18 დეკემბერს შინ ლუქსემბურგის ნაკრებთან ჩაატარებენ მათ ფრეც ჰყოფნით. ბრიუსელში მატჩის ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე რუდი ფიოლერმა გაიტანა.

მატჩის წინ პოლიციამ დააპატიმრა ორასამდე გერმანელი ფეხბურთის მოყვარული, რომლებიც ამსხვრევდნენ მაღაზიების ვიტრინებს და მათ გაძარცვას ცდილობდნენ.

უელსი	6	4	1	1	8-6	9
გერმანია	5	4	0	1	9-4	8
ბელგია	6	2	1	3	7-6	5
ლუქსემბურგი	5	0	0	5	2-10	0

პერეირას მეორე ცდა

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობაში კიდევ მოხდა ცვლილება: გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა კარლოს ალბერტო პერეირა. 1990 წლის შემდეგ, როცა იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის გუნდს ხელი მოეცარა, პერეირა უკვე მესამე კაცია ამ პოსტზე.

ლაპარაკი მთავარი მწვრთნელის შესაძლო შეცვლის შესახებ ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა ამხანაგური მატჩი წააგეს შოტლანდიის ფეხბურთელებთან — 0:1. ასახელებდნენ რამდენიმე კაცს, მათ შორის პელესაც კი. მაგრამ „ფეხბურთის მეფემ" უარყო ეს ხმები, — ჩემთვის ნაკრების მწვრთნელის პოსტი არც შემოუთავაზებიათო. პელეს საქმეთა რწმუნებულმა, მისმა ადვოკატმა ელიო ვიანამ ისიც დასძინა, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი ახლა ძალზე მოუცლელია, უცხოეთში მნიშვნელოვანი საქმეები აქვს. მან თქვა, რომ პელე ალბათ მაინც შეძლებს ქვეყნის იუნიორთა ნაკრებთან მუშაობას, ოღონდ მხოლოდ 1994 წლის შემდეგ.

ოფიციალური წყაროების მიხედვით უპირველესი კანდიდატები იყვნენ ტელე სანტანა და კარლოს ალბერტო პერეირა. შეგახსენებთ, რომ პირველი ბრაზილიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა 1982 და 1986 წლებში, პერეირა კი 1982 წელს ქუვეითის გუნდის მწვრთნელი იყო, ხოლო 1986 წელს — არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებისა. ხანგრძლივი დებატების შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშერას დიდი მონდომებით უპირატესობა პერეირას მიენიჭა.

კარლოს ალბერტო პერეირას უკვე აქვს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის ერთგვარი გამოცდილება. რვა წლის წინათ იგი ხელმძღვანელობდა ამ გუნდს, მაგრამ ამ პოსტზე ერთ წელიწადსაც არ დარჩენილა. ამ ხნის განმავლობაში ბრაზილიის გუნდმა ხუთი მატჩი მოიგო, შვიდი ფრედ დაამთავრა და ორი წააგო. ახლა პერეირას რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: ბრაზილიის ნაკრები აშკარა კრიზისს განიცდის, რომლის პირველი ნიშნებიც ჯერ კიდევ იტალიაში გამოჩნდა. გუნდი მეორე წრეში გამოეთიშა ტურნირს და ოთხ მატჩში მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა. ამას მოჰყვა დამარცხება არგენტინელებთან სამხრეთ ამერიკის პირველობის ფინალში. იტალიის ჩემპიონატის შემდეგ ჩატარებული თექვსმეტი მატჩიდან ბრაზილიის ნაკრებმა მხოლოდ ექვსი მოიგო.

ლაზარონი უპირატესობას „უცხოელებს" ანიჭებდა და მისი გეგმები ხშირად განუხორციელებელი რჩებოდა, რადგან კლუბები ბრაზილიელ ფეხბურთელებს ნაკრებში სათამაშოდ არ უშვებდნენ. მისმა მემკვიდრემ — ფალკაომ სცადა „შინა" ძალებით გასულიყო ფონს, და „რეკოდიც" დაამყარა — ჩატარებული ექვსი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო. ერნესტო პაულის ხელმძღვანელობით გუნდმა ერთადერთი მატჩი ითამაშა და ისიც წააგო — შოტლანდიელებთან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, პერეირას, როგორც თავად ამბობს, არ აშინებს ურთულესი ამოცანა — ბრაზილიური ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენა საერთაშორისო სარბიელზე. „დასაკარგავი არაფერი მაქვს. რაც დღეს არის, ამაზე უარესი რალა იქნება?" — უთხრა მან ჟურნალისტებს.

მწვრთნელმა თქვა, რომ ლაზარონისა და ფალკაოსგან განსხვავებით, იგი ეცდება „ოქროს შუალედი" დაიცვას და იზრუნებს როგორც ბრაზილიაში, ისე უცხოეთში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელთაგან ერთიანი, მეგობრული კოლექტივის შექმნისათვის.

— ჩვენი უპირველესი ამოცანა ფსიქოლოგიური ბლოკადის გარღვევაა. იმაში კი, რომ ბრაზილიელები პოტენციურად არ ჩამოუვარდებიან ინგლისელებსა და გერმანელებს, ღრმად გახლავართ დარწმუნებული, — განაცხადა დასასრულ მწვრთნელმა.

ერთი საღამოლომების მომთვინიერებელთან

სტუმრად ვალერი ნეპომნიაშჩისთან

კამერუნში ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს ლომებს ეძახიან, მათ მწვრთნელს კი რომლის ხელმძღვანელობითაც კამერუნელებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში აფრიკული ფეხბურთისათვის ჯერ არნახულ წარმატებას მიაღწიეს — მეოთხედფინალში გავიდნენ, ლომების მომთვინიერებელი შეარქვეს.

ვალერი ნეპომნიაშჩი ნებისმიერი ფეხბურთის მოყვარულისათვის ცნობილია და დამატებით წარდგენას არ საჭიროებს. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კამერუნის ნაკრების წარმატების შემდეგ, მისი მწვრთნელის სახელი მთელი პლანეტის ყურადღების ცენტრში მოექცა. ბუნებრივია, საბჭოთა პრესაც დაინტერესდა აფრიკაში ასეთი წარმატებით მოღვაწე თანამემამულით — ჟურნალ-გაზეთებში გახშირდა ნეპომნიაშჩისთან ინტერვიუები, მისი ფოტოები. ერთი სიტყვით, ბევრი ითქვა და არანაკლები დაიწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მივლინებით ანკარაში ყოფნის დროს, შორის არის ისიც, რომ იგი აბსოლუტურად ვერ ერკვევა ფეხბურთში და გულგრილია მის მიმართ. — ღიმილით ამბობს ვალერი, — აინტერესებს იმდენად, რამდენადაც მის ქმარს ეხება.

— მშვენიერი ბინა გაქვთ, — ვეუბნები დასასტლისს, — მაგრამ კამერუნში ალბათ უკეთესი გქონდათ.

— რას ამბობთ, რა შედარებაა — ემოციურად მპასუხობს პოლინა თან ოთახიდან ოთახში მიმიძღვება და სამოთახიან ბინას მათვალიერებინებს. — იქ ჩვენს განკარგულებაში მთელი ვილა იყო.

გარდა იმისა, რომ გულითადი ადამიანია, პოლინა მშვენიერი კულინარიც გახლავთ. ამის უტყუარი საბუთია მისი მომზადებული გემრიელი ვახშამი.

მაგრამ მალე ფეხბურთი დაიწყება, ინტერვიუს აღება უნდა მოვასწრო. თურქეთში ჩამოსვლამდე ვალერი ნეპომნიაშჩი ჩინეთში მუშაობდა ცოტა ხანს. შემდეგ ანკარაში ჩავიდა და „ანკარაგუჯუსთან“ გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი.

— რატომ დატოვეთ ჩინეთი?

— კამერუნის შემდეგ ჩინეთში მიმიწვიეს, მაგრამ ამ ქვეყანაში სულ ორიოდე თვე დავყავი. საქმე ისაა, რომ ჩემი პეკინში ყოფნის დროს ჩინეთის ეროვნული ნაკრები უბრალოდ, არ არსებობდა და რამდენადაც ვიცი დღესაც არ არსებობს: მთავრობის, სახელმწიფო საბჭოს, აგრეთვე პარტიული და რამდენიმე სხვა ორგანოს გადაწყვეტილებით პეკინში ჩატარებულ აზიურ თამაშებში ტაილანდის ნაკრებთან მარცხის გამო გუნდი დაიშალა.

— რატომ აირჩიეთ თურქეთი?

— ჩვენში, მოგეხსენებათ, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოსკოვში განიხილება და იქვე წყდება. მე კი აშხაბადში ვცხოვრობ და ამიტომ დაინტერესებულ პირებთან უშუალოდ მოლაპარაკების შესაძლებლობა თითქმის არა მაქვს. კარგა ხანს მიდიოდა მოლაპარაკება ორ ესპანურ გუნდთან „კადისთან“ და „სევილიასთან“. ეს გრძელდებოდა მარტის, აპრილის, მაისის განმავლობაში, ივნისში კი დაიწყო მოლაპარაკება თურქეთის კლუბთან. „ანკარაგუჯუს“ წარმომადგენლები უფრო ოპერატიულებიც გამოდგნენ და უფრო შეუპოვრებიც. საბოლოოდ კონტრაქტი



— რატომ ბატონ ვალერი, — ეეუბნები დასასტლისს, — მაგრამ კამერუნში ალბათ უკეთესი გქონდათ.

— ეს არაფერი, საიდან მომაგონეთ?.. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, ოთხშაბათ, ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩები ერთად გვენახა.

ვალერი ნეპომნიაშჩი, მართლაც ძალიან უშუალო, ზედმიწევნით კორექტული და საკმაოდ საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. მისი მეუღლე ქალბატონი პოლინა კი იმდენად გულთბილი დიასახლისი ყოფილა, რომ მათთან სტუმრობის პირველი წუთებიდანვე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ძველი მეგობრების წრეში.

— პოლინას ბევრ დადებით თვისებებს ბუნებრივია, ხელიდან არ გავუშვი მასთან შეხვედრის შესაძლებლობა.

ვალერი ნეპომნიაშჩის მონახვა „სარბიელის“ მკითხველთათვის უკვე ნაცნობმა ბორის ყიფიანმა გამიადვილა. მისი თხოვნით, მე „ანკარაგუჯუს“ საკლუბო რეზიდენციაში წამიყვანეს, სადაც „რუს ტრენერ“-ის ტელეფონის ნომერი მომცეს. ყურმილი ნეპომნიაშჩის მეუღლემ აიღო: „ვალერი თურქული ენის კურსებზე დადის და შინ ორის ნახევარზე იქნება“, მითხრა მან. დათქმულ დროს ტელეფონთან უკვე ვალერი ნეპომნიაშჩი მოვიდა:

— გამარჯობა, ვალერი... უკაცრავად, მამის სახელი არ ვიცი.

— ეს არაფერი, საიდან მომაგონეთ?..

შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, ოთხშაბათ, ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩები ერთად გვენახა.

ვალერი ნეპომნიაშჩი, მართლაც ძალიან უშუალო, ზედმიწევნით კორექტული და საკმაოდ საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. მისი მეუღლე ქალბატონი პოლინა კი იმდენად გულთბილი დიასახლისი ყოფილა, რომ მათთან სტუმრობის პირველი წუთებიდანვე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ძველი მეგობრების წრეში.

— პოლინას ბევრ დადებით თვისებებს

**— ბატონ

რკინის ფარდა ატლანტის ოკეანეზე

85-დღიანი სახიფათო მოგზაურობის შემდეგ, ფრედერიკ გერინმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე, დაეშყარებინა ახალი რეკორდი ატლანტის ოკეანის გადაცურვაში ნიჩბიანი ნავით. ის ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ... დანარჩენს გაეცნობით სტატიაში, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა ფრანგულმა გაზეთმა „LIBERATION“.

ფრედერიკ გერინი

LIBERATION

ქვემეხის გამაყრუებელმა ხმამ სტარტი მისცა ტრანს-ატლანტიკის რბოლის მონაწილე 70-მდე ნიჩბიან, პატარა გემს. თითოეულ მათგანს დიდი გასაჭირი დაადგა, თითოეულის ბედი ბოლომდე უცნობი იყო. ჩვენ მივყვეთ ყველაზე მამაცსა და ნებისყოფიან სპორტსმენს, ფრედერიკ გერინს, რომლის მიზანდასახულობას სპორტული გმირობაც შეიძლება ეწოდოს.

85-დღიანი ეპოპეის შემდეგ, მარტოობასა და უიმედობაში მყოფი ფრედერიკ გერინი, მებრძოლი მღელვარე ზღვასთან, გამოეთხოვა ჰაბუკობის-დროინდელ ახირებას. მისი ოცნება ირლანდიის ნაპირებიდან 120 კილომეტრზე, გაშლილ ზღვაში ჩაიკარგა.

„ხუთშაბათს, დილით დაიწყო ჩემი მშფოთვარე თავგადასავალი. მეტეო პირობების შეცვლის გამო სრულიად დავკარგე ორიენტაცია, ირგვლივ ერთი გემიც ვერ შევნიშნე. სრულიად მარტო დავრჩი. მძლავრად მოვუსვი ნიჩბებს, დარწმუნებულმა გადაწყვეტილების სისწორეში. ორი დღით ადრე დღიურში ვწერდი: გუმანით ვგრძნობ, ყველაფერი რიგზე არაა, თუ რამე მოხდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადამექცეს ფსიქოლოგიურ დრამად. დავიწყე ბალანსირება შეშლილი და გონიერი სამყაროს ზღვარზე. უკვე ერთი თვე სრულდებოდა, რაც სრულიად იზოლირებული აღმოვჩნდი მსოფლიოსაგან. არ მქონდა რადიო და აქედან გამომდინარე FR1-ის ინფორმაციები. აღარ მქონდა კასეტებიც, რომლებიც სრულიად დასველდნენ გემის გადაყირავების გამო. ჩემთან ერთად იყო მხოლოდ წუხილი, სევდა, უბედურება და იმედის ნაპერწკალი, რომელიც ოდნავ ბჟუტავდა. საბოლოოდ გამომფიტა იმ 8 დღემ, რომლის განმავლობაში დღეში 12-14-საათს ვუსვამდი ნიჩბებს, დღეში ჩემს შვიდმეტრიან ნავში გამომწყვდეული. დავიწყე წიგნების გადაკითხვა. ორჯერ. სამჯერ. მეოთხე დღის ბოლოს უცებ წამოვხტი და ისტერიული ყვირილი აღმოვხდა. ეს ერთადერთ საშუალებად მივიჩნიე სტრესული მდგომარეობის განსადევნად. ყველა ჩემი ფიქრი ერთმანეთში ირეოდა. დროის ათვლისათვის იძულებული გავხდი თითები გამომეყენებინა. წარმოიდგინეთ უსაშველოდ გაწელილი 8 დღე, ამ ხნის განმავლობაში მიჯაჭვული ვიყავი გემის კაბინასთან აღელვებული ზღვის დაწყნარების მოლოდინში.

ვლოცულობდი რათა დასავლეთის ქარი დაბრუნებულიყო. ყოველ საღამოს ჩემს ოპტიმიზმს მისხალს ვუმატებდი სიტყვებით: ხვალ ყველაფერი შეიცვლება. მხოლოდ მეცხრე დღეს, ყოვლისშემძლემ ინება დასავლეთის ქარი. ამ მომენტში ვიგრძენი ენერგიის საოკეანო მოზღვავება, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, ქარმა ნელ-ნელა იწყო ჩადგომა, ბოლოს სრულიად გაქრა და მე ავტირდი, გაბრაზებული საკუთარ უძლურობაზე. ასე გრძელდებოდა 80 დღეს. შემდეგ შევნიშნე ინგლისური ოკეანოგრაფიული ხომალდი. დავამყარე მასთან კონტაქტი და მალე გემბანზე აღმოვჩნდი. როცა მათ ავუხსენი, რომ უკვე 80 დღეა ნიჩბებს ვუსვამ, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, იმდენად, რომ სიტყვები ვერ იპოვნეს ჩემს გასამხნევებლად. გამიმასპინძლდნენ ცხელი საჭმელით, რომელიც პირველად ვიგემე, ორი-თვის შემდეგ, რაც გაზჭურა გამიფუჭდა. დავუკავშირდი პიერ ლანსიეს, რათა გამეგო მეტეო ცნობები. ინფორმაცია არც თუ ურიგო გაბლდათ. მოსალოდნელი იყო ჩრდილო-დასავლეთის 8-9 ბალიანი ქარი. დროის დაკარგვა სისულელე იყო და გადავწყვიტე გზის გაგრძელება.

უკან ჩამოვიტოვე ირლანდიის ნაპირები, კუნძული სკიდი, მაგრამ მესამე დღეს კვლავ ატყდა ღელვა. დაიწყო კოშმარი. ამ პირობებში გადავლახე ღრმულები, რომელთა სიღრმე ზოგჯერ 4000 მეტრს აღწევდა. ამოვარდა სამხრეთის ქარი. გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ერთი წამით სიცოცხლესთან განშორებაც დავაპირე, ეს არ იყო ძნელი, მაგრამ შევეხე თუ არა საბედისწერო ღილაკს, წამს შევიცვალე აზრი. მიხაროდა, რომ ჩემს ცხოვრებაში სიყვარულის ინსტიქტი იმარჯვებდა.

როცა სრულიად ღონემიხდილი აღმომაჩინეს თევზსაჭერი გემის „Saint-Iean“-ის მეზღვაურებმა, მათთან ლაპარაკი ვერ შევძელი. შემდეგ ჩემი ნავი აიტანეს გემბანზე და მე დავყვებოდი მათ სათევზაო ადგილებში მთელი მოგზაურობის პერიოდში. მე არ შემეძლო მიმეტოვებინა ჩემი ნავი, რადგან მის მეტი არაფერი გამაჩნდა ქვეყანაზე.

მთელი ამ დრამის დროს საშინლად მტანჯავდა თირკმელები. ჩემს ხელთ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი ამპულები იყო და არავითარი ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ზოგჯერ ერთ ჯერზე 5 ამპულასაც ვიკეთებდი. ხანდახან ტკივილისაგან საათების განმავლობაში გაუნძრევლად ვიჯექი. შემდეგ, შევიცვლიდი რა პოზიციას, ენერგიულად ვუსვამდი ნიჩბებს.

მოგზაურობის დაწყების წინ ყოველთვის ფიქრობ, რომ დაამარცხებ ზღვასა და ქარს, მაგრამ ბუნება გაცილებით ძლიერია ადამიანზე.

უიმედობაში მყოფი მხოლოდ ჩიტებთან ვსაუბრობდი, ვნატრობდი მათ სიცოცხლისუნარიანობას და ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, საოცარი სურვილი მაქვს ფრენისა, მაგრამ იქამდე საჭიროა ძალების აღდგენა. მერე კი...“

თარგმნა ავთო გოგიჩაიშვილმა.

THE EUROPEAN

იანიკ ნოა

იანიკ ნოა დასახმარებლად მივიჩქარის

საფრანგეთის ქალაქ ლიონში მოეწყობა 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.

საფრანგეთის გუნდი დევისის თასის გათამაშების ფინალში ცხრა წლის „შესვენების“ შემდეგ გავიდა. ცხადია, მასპინძლებს გუნდთ უნდათ სასატიო პრიზის მოპოვება თუნდაც ერთი წლით. ნოა ბოლო წლებში არც ისე ხშირად გამოდის კორტზე და ახლა დამოუკიდებლად ემზადება მომავალი ბრძოლებისთვის. მას განზრახული აქვს ამ შეკიბრებში ორი როლი შეასრულოს — კაპიტანიც იყოს და წყვილთა ასპარეზობაშიც გამოვიდეს. მასთან ერთად ან საფრანგეთის პირველი ჩოგანი გი ფორგე ითამაშებს, ან მეორე სახელგანთქმული „სათასო მებრძოლი“ ანრი ლეკონტი.

ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი, ამჟამად ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტანი დევისის თასის გათამაშებაში იანიკ ნოა კვლავ მშად არის კორტზე გამოსასვლელად. მან სურვილი გამოთქვა ვატა არაოფიციალურ გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელებს შეხვდეს. ეს შეხვედრა

მაკინროუს ესიზმრება ოლიმპიადა

32 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ მზად არის მონაწილეობა მიიღოს დევისის თასზე. საფრანგეთის გუნდის წინააღმდეგ, ოფიციალურ მატჩში. სპორტსმენმა ამის შესახებ განუცხადა აშშ-ს ვაჟთა ნაკრების მწვრთნელს ტომ გერმანს, რომელიც გუნდს მომავალი შეხვედრისთვის ამზადებს. შეხვედრა ლიონში გაიმართება. მაკინროუს გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. ჯონი ხომ კარგა ხანია ცნობილია, როგორც გუნდური თამაშების დიდოსტატი. მას ამერიკის ნაკრების შემადგელობაში გაცილებით მეტი თამაში აქვს მოგებული, ვიდრე რომელიმე მის თანამემამულს. დევისის თასის ერთეულთა თანრიგის 41 შეხვედრიდან მან მხოლოდ 8 წააგო. წყვილებში მისი შედეგი უფრო შთამბეჭდავია — 15 გამარჯვება და 1 დამარცხება. სწორედ წყვილთა თანრიგში გამოსულებმა მოუპოვეს მას მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ჩოგბურთელის სახელი. ფრანგებთან შეხვედრისას ჯონს სურს ითამაშოს წყვილში 20 წლის პტ სამპრასთან ერთად. სამპრასი აშშ-ს შარშანდელი ღია პირველობის გამარჯვებულია.

მომავლის გეგმებთან დაკავშირებით კი ჯონ მაკინროუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაისად, ზაფხულში ის აპირებს პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერის დასრულებას. ეს მოხდება ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც იგი თავისი ქვეყნის ღირსების დაცვაზე ოცნებობს.

ჯონ მაკინროუ

THE EUROPEAN

ჯორჯ მაიკენი

პროფესიული კალათბურთის გარიჟრაჟზე მაღალი კლასის ოსტატები თითებზე ჩამოთვლილა, „მინეაპოლის ლეიკერსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ჯორჯ მაიკენი მათ შორის, უთუოდ, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა.

იგი დიბდა 1924 წლის 18 ივნისს. ფიზიკურად ხუსტი, ახლომხედველი მაიკენი ერთი შეხედვით თითქოსდა სპორტისთვის გამოუსადეგარიც კი იყო, მაგრამ ხენ-პოლის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელს რეი მაიერს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი ერთი უეჭველი ღირსება. მაიკენი საკმაოდ ტანმაღალი იყო(205 სმ). ამ მწვრთნელის დამსახურება უდავოა. მან მაიკენთან მუშაობა ნოლიდან დაიწყო და მიხვან ჩამოაყალიბა პროფესიული კალათბურთის აღიარებული ვარსკვლავი. და მაინც, ალბათ, მაიერი ვერაფერს ვერ გახდებდა, რომ არა მისი მოწადინების უდიდესი შრომისმოყვარეობა.

1946 წელს 22 წლის ჯორჯ მაიკენმა დამთავრა ხენ-პოლის უნივერსიტეტი ჩაკვრაში და თავისი ძალა პროფესიულ კალათბურთში სცადა. მისი ტალანტი სრულყოფილად გაიშალა „მინეაპოლის ლეიკერსში“. იგი მინეაპოლისის შეტევის აღიარებული ლიდერი იყო. გამოირჩეოდა მაღალი შედეგიანობით და კარგად ფლობდა ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლების ოსტატობას (რებაუნტ). 50-იან წლებში იგი ხუთჯერ გახდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი (1949, 1950, 1952, 1953, 1954). ამ წარმატებებში „ლომის წილი“, სწორედ მაკენს ედო. ეს პერიოდი პროფესიულ კალათბურთში „მინეაპოლის ლეიკერსის“ და მისი ლიდერის ჯორჯ მაიკენის ჰეგემონიის ხანა იყო.

ჯორჯ მაიკენი დიდი ხნის განმავლობაში იყო პროფესიული კალათბურთის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე. ექვსჯერ დასახელეს ჟურნალისტებმა იგი „ოლ-სტარზის“ პირველ ხუთეულში (1949, 1950, 1951, 1952, 1953, 1954). მაიკენმა საკმაოდ დიდხანს ითამაშა და მოედანი დატოვა 1960 წელს, როდესაც 36 წელი შეუსრულდა. 1959 წელს მაიკენი არჩეული იქნა „უკვდავების“ რიგებში. ასე უწოდებენ ჯეიმზ ნეისმითის სახელობის საკალათბურთო მუზეუმის სასატიო წევრებს.

მრავლისმთქმელია, რომ მაიკენს მიიჩნევენ „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე გამოჩენილ კალათბურთელად“.

მერაბ კალანდაძე.

აქეთური, იქეთური...

ფეხბურთის მეფემ, ედინბურგის დო ნასიმენტო-ბელენემ, თავისი ჯილდოების მუზეუმი კიდევ ერთით შეავსო. მისი 51 წლის თავზე, 23 ოქტომბერს, ბრაზილიის პრეზიდენტმა ფერნანდო კოროლა დე მელომ ლეგენდარულ ფეხბურთელს გადასცა ეროვნული ორდენი ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის. ამგვარად პელე გახდა პირველი სპორტსმენი, რომელმაც ქვეყნის უმაღლესი ჯილდო მიიღო. ამ საპატიო ჯილდოს ბრაზილიაში გამოჩენილ თანამემამულეებს მე-19 საუკუნიდან ანიჭებენ.

• • •

1991 წლის უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულმა, გერმანელმა ჩოგბურთელმა მიხაელ შტიხმა ხელი მოაწერა კონტრაქტს იაპონურ ფირმა KONICA-თან. ეს ფირმა უშვებს ფოტო და ვიდეოლენტებს, ფოტოაპარატურას და ობიექტივებს. კონტრაქტი სამწლიანია. მასში მითითებული თანხა ჯერჯერობით საიდუმლოა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გასამრჯელო დამოკიდებული იქნება იმ შედეგებზე, რომელსაც შტიხი სხვადასხვა ტურნირებში მიაღწევს.

• • •

პიემონტმა (ჩრდილოეთ იტალია) გადაწყვიტა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლოს და წამოაყენა კიდეც თავისი კანდიდატურა. ამ რეგიონის სპორტის საქმეთა მინისტრმა დანიელ კოიჩორემ ტურინში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ სარეკლამო კამპანია უკვე იწყება. მანვე დასძინა, რომ, თუკი მილანს 2000 წელს ზაფხულის ოლიმპიადის ჩატარების უფლება მიეცემა, მის მეზობელ პიემონტს შეუძლია მასპინძლობა გაუწიოს შეჯიბრებებს სპორტის საწყლოსნო სახეობებში.

• • •

„ახალგაზრდობა ემზადება ოლიმპიადისთვის“ — ამ დევიზით ჩატარდა გერმანიის მოსწავლეთა კომპლექსური ასპარეზობა, რომლის თაოსნებიც იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მძღოლსანი, სიმაღლეზე მხტომელი ბაიკ ჰენკელი და არანაკლებ პოპულარული ფეხბურთელი პიერ ლიტბარსკი. ორივე სპორტსმენი საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდა. ამიერიდან ასპარეზობა ყოველ წელიწადს ჩატარდება. ის იქნება ნაწილი სარეკლამო კამპანიისა, რომელიც გერმანიაში გაიშლება 2000 წელს ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ბერლინის კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით.

• • •

ინგლისელი რაგბის მოყვარულები ძალზე განიცდიან თავიანთი გუნდის დამარცხებას ავსტრალიელებთან მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში. ცხადია, ამით კმაყოფილი არც ინგლისის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა იქნება. ამიტომ სანქციებმაც არ დაყოვნა. ბრალი ედება უპირველესად ნაკრების მწვრთნელს როჯერ ათლის, რომელიც მოიხსნა ამ პოსტიდან. ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს 37 წლის დიკ ბესტი.

აქეთური, იქეთური...

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

გამოდის პარასკევობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი: თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14 გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

გაზეთი აწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია